განკარგულება:**g-31. 31232077**
თარიღი:**26/07/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №55

2023 წლის 26 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთლომოწყობისა და მომსახურეობის ცენტრისთვის“ (ს/კ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის N 39 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთლომოწყობისა და მომსახურეობის ცენტრს“ (ს/კ 433649322) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N 76 -ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.002.01.500.) პირველ სართულზე განთავსებული შემდეგი ფართი, კერძოდ:- ოთახი N 14 – 18,38კვ.მ. ოთახი N 15 – 10,51 კვ.მ. ოთახი N 16 – 35,20 კვ.მ. ოთახი N 17 – 21,95 კვ.მ. ოთახი N 18 – 22,54 კვ.მ. ოთახი N 19 – 19,67 კვ.მ. ოთახი N 20 – 170,18 კვ.მ. მესამე სართულზე სართულზე განთავსებული შემდეგი ფართი, კერძოდ: - ოთახი N 10 – 12,97 კვ.მ. ოთახი N 12 – 17,66 კვ.მ ოთახი N 13 – 10,05 კვ.მ. ოთახი N 17 – 25,60 კვ.მ. ოთახი N 18 – 16,37 კვ.მ. ოთახი N 19 – 31,81 კვ.მ. ოთახი N 20 –

29,52 კვ.მ. ოთახი N 21 – 22,91 კვ.მ. ოთახი N 22 – 23,59 კვ.მ. ოთახი N 23 – 34,72 კვ.მ. საერთო ფართი - 523,63 კვ.მ.“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი